საქართველოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩარჩოს კრიტიკული ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციები

ანა მჭედლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბუნების დაცვა და მეტყევეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამუკა გვილავა, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ა. მჭედლიშვილი

21.06.2024

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს საქართველოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩარჩოს რელევანტურობას საერთაშორისო პრაქტიკების კონტექსტში, რაც მოიცავს მის კრიტიკულ ანალიზს და გაუმჯობესების რეკომენდაციებს. კვლევისთვის გამოყენებული იქნა საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თვისებრივი ანალიზი, ჩატარდა გამოკითხვები კომპეტენტურ პირებთან და დამგეგმავ ორგანოებთან, ასევე განხორციელდა საჯაროდ ხელმისაწვდომი თითოეული სტრატეგიული დოკუმენტის დოკუმენტაციის რაოდენობრივი კვლევა. აღნიშნული მეთოდები ეფექტიანი გამოდგა კოდექსში ხარვეზების გამოვლენისა და საქართველოში დამკვიდრებული სგშ პრაქტიკის შეფასებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სგშ ჩარჩო უმეტესწილად შეესაბამება სგშ ოქმსა და ესპო კონვენციას, ის პრაქტიკა, რაც საქართველოში ამ მიმართულებითაა დანერგილი, რიგი გამოწვევების წინაშე დგას და გაუმჯობესებას საჭიროებს. ანალიზი ცხადყოფს, რომ სგშ-ს განხორციელების პროცედურა გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება, პროცესის გამჭვირვალობა კი ყოველთვის არაა დაცული. მეტიც, საბოლოო რეკომენდაციების აღსრულება ფორმალურ ზედამხედველობას არ ექვემდებარება, რაც მის საერთო ეფექტიანობაზე აისახება. კვლევისას გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები მოიცავს პროცედურულ შეუსაბამობებსა და დოკუმენტაციის მიუწვდომლობას, რაც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხს ეჭვქვეშ აყენებს. საბოლოოდ, შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები ეხება ტერმინების დაზუსტებას, ინფორმაციის განთავსების ვებგვერდების ჰარმონიზებას და სგშ პროცედურის გამკაცრებას. აღნიშნული მიზნად ისახავს დოკუმენტების მოძიების გამარტივებას, მონაცემების ხილვადობის გაუმჯობესებას და სტრატეგიული დოკუმენტების მიღებისას სგშ-ს როლის განმტკიცებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სგშ, PPP, სტრატეგიული დოკუმენტი, სკოპინგი

Abstract

This Master's thesis examines the relevance of Georgia's strategic environmental assessment (SEA) framework in the context of international practices, including its critical analysis and recommendations for improvement. Qualitative methods were used to analyze the Environmental Assessment Code of Georgia, while quantitative analysis was conducted on publicly available data for each strategic document. Surveys were also conducted with competent persons. These methods proved to be effective in identifying gaps in the code and in evaluating SEA practice in Georgia. The research showed that despite Georgia's SEA framework being in full compliance with the SEA protocol and Espoo convention, the practice implemented in this country faces several challenges that need to be improved. The analysis reveals that the SEA procedure has some shortcomings and the transparency of the whole process is not always maintained. Moreover, the implementation of the final recommendations is not a subject of formal supervision, which affects its overall effectiveness. The main drawbacks identified in the study include procedural inconsistencies and the unavailability of documentation, which call into question the transparency and accountability of responsible bodies. Finally, the recommendations developed based on the results include the clarification of terms, harmonization of the websites where the information is placed, and refining the SEA procedure. These recommendations aim to simplify the search for documents, improve the visibility of information, and strengthen the role of the SEA in adopting strategic documents.

Keywords: SEA, PPP, Strategic Document, Scoping